პროკრედიტ ბანკი

პროკრედიტ ეკო

კლიმატის ცვლილება

© ProCredit Bank, 10/2022.
All rights reserved

www.procreditbank.ge

საინფორმაციო ბროშურა, 2022წ. / III კვ

კლიმატი, გასაშუალოებული ამინდია, რომელიც მთლიანად დედამიწის ან ერთი კონკრეტული რეგიონის საშუალო ამინდის ხანგრძლივვადიან ცვლილებას უკავშირდება (რაც გლობალური დათბობის მიზეზია). მაგალითად, მზის ციკლის ცვალებადობის შედეგად, ბუნებრივი მოვლენების განვითარების სიხშირე შედარებით გაიზარდა. თუმცა, 1800-იანი წლებიდან მოყოლებული, ადამიანის ქმედებები კლიმატის ცვლილების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია, განსაკუთრებით ისეთი წიაღისეული საწვავის გამოყენება, როგორიცაა ქვანახშირი, ნავთობი და გაზი, რომლის წვის პროცესში დიდი რაოდენობით CO2-გაფრქვევა ხდება ატმოსფეროში.[1] სათბურის აირების ემისიის გაზრდილი რაოდენობის შედეგია, რომ დედამიწა ახლა დაახლოებით 1,1°C-ით უფრო თბილია, ვიდრე 1800-იანი წლების ბოლოს იყო. ოფიციალური მონაცემებით, წინა ათწლეული (2011-2020) ყველაზე თბილი იყო.

ბევრი ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილება ძირითადად უფრო თბილ ტემპერატურას ნიშნავს, მაგრამ ტემპერატურის მატება ეს მხოლოდ დასაწყისია. იმის გამო, რომ დედამიწა რთულ ეკოსისტემას წარმოადგენს, სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ცვლილებებმა ერთ სფეროში შესაძლებელია, რომ, ყველა დანარჩენ სფეროზეც მოახდინოს ზეგავლენა.

რა იწვევს კლიმატის ცვლილებას? [2]

კლიმატის ცვლილებას ძირითადად ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში ხელოვნურად გაზრდილი სათბურის ეფექტი იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად იმაზე მეტი სათბურის ეფექტის წარმოქმნა ხდება, ვიდრე ბუნებრივად უნდა არსებობდეს. გაზრდილი სათბური ეფექტის შედეგად სითბოს ჩაჭერა უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, შედეგად, პლანეტა უფრო თბილია, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა. ეკონომიკური დარგების თვალსაზრისით,

ემისიების რაოდენობის ზრდას შემდეგი აქტივობები უწყობს ხელს:

ტყეების გაჩეხვა (ტყის განადგურება).
ხეები, ატმოსფეროდან CO_2-ის შთანთქმით ხელს უწყობენ კლიმატის ცვლილების პროცესების რეგულირებას. ტყეების ჩეხვის დროს ეს სასარგებლო ეფექტი იკარგება და ნახშირბადის ის რაოდენობა, რაც მოჭრილ ხეს შეეძლო, რომ შთაენთქა ატმოსფეროში გამოიყოფა, რაც სათბურის ეფექტის გაზრდილ რაოდენობაზე და მათ მიერ სითბოს ჩაჭერის ინტენსივობაზე ახდენს გავლენას.

გაზრდილი მეცხოველეობა.
მსხვილფეხა პირუტყვები (ძროხები და ცხვრები) საკვების მონელებისას დიდი რაოდენობით მეთანს წარმოქმნიან.

ნახშირის, ნავთობისა და გაზის წვა ნახშირორჟანგს და აზოტის ოქსიდს წარმოქმნის[3].

ფტორირებული აირები ისეთი მოწყობილობებიდან და პროდუქტებიდან გამოიყოფა, რომლებიც ამ აირებს იყენებენ (კონდიციონერი, ქაფი, აეროზოლის ქილა). ასეთ ემისიებს ბევრად ინტენსიური, CO_2-ზე 23000-ჯერ მეტი, დათბობის ეფექტი აქვს.

სასუქები, რომლებიც აზოტს შეიცავს, ხელს უწყობს აზოტის ოქსიდის ემისიების წარმოქმნას.

1 https://www.un.org/en/climatechange/what-is-climate-change#:~:text=Climate%20change%20refers%20to%20long,like%20coal%2C%20oil%20and%20gas
2 https://ec.europa.eu/clima/climate-change/causes-climate-change_en
3 აზოტის ოქსიდი, ისევე როგორც CO2, გრძელვადიანი ეფექტი ახასიათებს და ატმოსფეროში ათწლეულებიდან საუკუნეებამდე პერიოდის განმავლობაში გროვდება.

ელექტროენერგიის მოხმარება სამრეწველო პროცესში, სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში და მიწათსარგებლობაში ყველაზე დიდი რაოდენობის ემისიებს წარმოქმნის.



OurWorldinData.org – კვლევები და მონაცემები მსოფლიოს უდიდეს პრობლემებთან მიმართებაში პროგრესის მისაღწევად.
წყარო: Climate Watch, მსოფლიოს რესურსების ინსტიტუტი (2020წ). ლიცენზირებულია როგორც CC-BY ავტორის ჰანა რიჩის მიერ (2020წ) (PCH-ის დიაგრამა)

იცოდი რომ?

კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასა და გარემოზე.

საზოგადოება:

- კლიმატის ცვლილება უარყოფითად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ისეთი ექსტრემალური მოვლენების გამო, როგორიცაა გვალვა, ქარიშხალი, წყალდიდობა და ტყის ხანძრები;
- კლიმატის ცვლილება იწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას;
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულმა პროცესებმა სოფლის მეურნეობაში შეიძლება მოსავლის უკმარისობა გამოიწვიოს;
- მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში კლიმატის ცვლილება იწვევს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხს გაუარესებას, მათში ძლიერი წვიმების შემდეგ დამაბინძურებლიკონცენტრაციის მოხვედრის შედეგად.[4]

გარემო:

- გლობალური ტემპერატურა 1901 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში დაახლოებით 1°C-ით გაიზარდა;
- ზღვის დონის აწევის პროცესი 1993 წლიდან მე-20 საუკუნის პერიოდიდან დღემდე უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და წელიწადში 1,7 მმ-დან წელიწადში 3,2 მმ-მდე მერყეობს;
- მყინვარების დნობა: 30 მყინვარიზე დაკვირვების და შესწავლის შედეგად აღმოჩნდა რომ მათი საშუალო სისქე 18 მეტრზე მეტით შემცირდა 1980 წლიდან მოყოლებული;
- ზღვის ყინულით დაფარული ტერიტორია არქტიკაში ზაფხულის ბოლოს 1979 წელთან შედარებითდაახლოებით 40%-ით შემცირდა;
- ნახშირორჟანგის რაოდენობა ატმოსფეროში 1958 წლიდან 25%-ით და დაახლოებით 40%-ით გაიზარდა ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ.[5]

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილეთ: *კლიმატის ცვლილების მიზეზები და შედეგები National Geographic-ში.*

4 *https://www.globalchange.gov/climate-change/impacts-society*
5 *https://www.noaa.gov/education/resource-collections/climate/climate-change-impacts#:~:text=Our%20changing%20climate&text=Global%20temperatures%20rose%20about%201.8,than%2060%20feet%20since%201980*

რა უნდა გავაკეთოთ კლიმატის ცვლილების შესამცირებლად?

კლიმატის ცვლილების შემცირება თქვენი ყოველდღიური ცხოვრებით იწყება: რას აკეთებთ და რას მიირთმევთ. ყველას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს გლობალური დათბობისა და კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად. ქვემოთ წარმოდგენილია პლანეტის გადარჩენის რამდენიმე მარტივი, ეფექტური გზა.[6]

1. ესაუბრეთ თქვენი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს - გაზარდეთ ცნობიერება გლობალური დათბობისა და პლანეტაზე მისი სახიფათო გავლენის შესახებ. შეშფოთება გამოხატეთ და ცოდნა გაუზიარეთ მათ.



2. პრიორიტეტი მიანიჭეთგანახლებადი ენერგიას (RE)– გამოიყენეთ ელექტროენერგია, რომელიც სუფთა ენერგიის წყაროებიდან მომდინარეობს და ზოგადად შეამცირეთ ელექტროენერგიის მოხმარება. ფოტოვოლტაიკური პანელების დააყენებითსახურავზე შეძლებთ, რომ შეამციროთ ხარჯები და აითვისოთ მზის განახლებადი ენერგია.

3. გადახედეთ თქვენი კვების ჩვევებს - ბოლომდე მიირთვით საკვები, რომელსაც ყიდულობთ. მსოფლიოში დაახლოებით 1,3 მილიარდი ტონა საკვები ხვდება ნაგავსაყრელებზე. უფრო მეტიც, სასურველია ნაკლები ხორცის მოხმარება და შეძლებისდაგვარად ადგილობრივი წარმოების საკვების შეძენა. ეს ქმედება შეამცირებს, ტრანსპორტირების ინტენსივობას და მოთხოვნას მეცხოველეობის პროდუქტებზე, რაც თავისთავად გამოიწვევს ემიისის რაოდენობის შემცირებას.



4. გამოიყენეთ ენერგოეფექტური სატრანსპორტო საშუალებები - წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ჩვეულებრივი მანქანის ნაცვლად ან თვითმფრინავით მოგზაურობის ნაცვლად, შეგიძლიათმცირე მანძილებზე გადაადგილდეთ ველოსიპედით, უფრო ხშირად ისარგებლოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან მართოთ შედარებით ეკოლოგიურად სუფთა მანქანა , მაგალითად, როგორიცაა ჰიბრიდული ელექტრომანქანები ან ელექტრო მანქანები. აღნიშნული ქმედება დაკავშირებულია სათბურის გაზების გამოყოფის შემცირებასთან და ხელს შეუწყობს ჰაერის ხარისხს გაუმჯობესებას

5. ხელახლა გამოყენება, , პრევენციული ღონისძიებების განხორციელება იმისთვის, რომ პროდუქტი არ გარდაიქმნეს ნარჩენად, ნარჩენების გადამუშავება- ამგვარი ქმედებების განხორციელება მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ შეძენილ და გამოყენებულ პროდუქტებთან, ასევე პროდუქტის დამზადების და ნარჩენების მართვის დროს წარმოქმნილი ემისიების შემცირების მიზნობრიობით, უფრო ზოგადად გარემოზე ჩვენივე ნეგატიური ეკოლოგიური ნაკვალევის შესამცირებლად, . მნიშვნელოვანია, რომ შევიძინოთ პროდუქტის ის რაოდენობა, რაც რეალურად გვჭირდება და კარგად დავფიქრდეთ, ვიდრე ისეთ ნივთებს გადავყრით, რომელთა გამოყენება ჯერ კიდევ შეიძლება.

6 https://www.nrdc.org/stories/how-you-can-stop-global-warming

ინიციატივები და ღონისძიებები პოლიტიკაში, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ [7]

ოფიციალური ჩანაწერებით, 2011-2020 წლები ყველაზე თბილი ათწლეული იყო, სადაც გლობალური საშუალო ტემპერატურა 2019 წელს 1,1°C-ს აღემატებოდა პრეინდუსტრიულ დონეებს. ადამიანის მიზეზებით გამოწვეული გლობალური ტემპერატურა (ამ ეტაპის დაკვირვებებით) ყოველ ათწლეულში 0,2°C-ით იზრდება.

2°C-ით მატებამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამ მიზეზით, მსოფლიომ აღიარა დათბობის 2°C-ზე დაბლა შენარჩუნების აუცილებლობა და გაძლიერა ძალისხმევა მის 1,5°C-მდე შემცირების კუთხით.

ევროკავშირმა (EU) მიიღო გარკვეული ზომები და შეიმუშავა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ყოვლისმომცველი პაკეტი „ევროპის კლიმატის პაქტი“, რომელიც განსაზღვრავს გრძელვადიან სტრატეგიას და მიზნებს 2050 წლისათვის კლიმატის ცვლილების პროცესების რეგულირებასთან დაკავშირებით.

თუ გსურთ მეტი ინფორმაცია მიიღოთ იმის თაობაზე, თუ რას აკეთებს ევროკავშირი კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, მიჰყევით ამ ბმულს: https://ec.europa.eu/clima/eu-action_en.

რას აკეთებს პროკრედიტ ჯგუფი კლიმატის ცვლილების შესამცირებლად?

- CO_2-ის ემისიის აღრიცხვა: 2015 წლიდან ჯგუფი ითვლის, დაკვირვებებს აწარმოებს და ანგარიშს წარადგენს საკუთარი საქმიანობით გამოწვეული ემისიების შესახებ, სათბურის გაზების პროტოკოლების საფუძველზე და შიდა გარემოსდაცვითი მართვის პროგრამული უზრუნველყოფის (iEMS) მხარდაჭერით. წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ 2021 წელს, პროკრედიტი შეუერთდა Partnership for Carbon Accounting Financials (PCAF - პარტნიორობა ნახშირბადის ემისიების აღრიცხვის ფინანსური ანგარიშგებისთვის), რათა ხელი შეუწყოს ჩვენი საკრედიტო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სათბურის გაზების ემისიების რაოდენობრივად აღრიცხვასა და გასაჯაროებას, აგრეთვე გამოაქვეყნა პირველი ანგარიში სასესხო პორტფელთან დაკავშირებული ემისიების შესახებ. 2021 წლის ბოლოს, ჩვენი ფინანსური საქმიანობიდან 644 კილოტონა სათბურის გაზები წარმოიქმნა (იხილეთ ჩვენი „ზემოქმედების ანგარიში“).

- მიზნების დასახვა: 2018 წელს, ჯგუფმა კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილების სამი საშუალო ვადიანი მიზანი ჩამოაყალიბა, რომლებიც 2023 წლის ბოლომდე უნდა შესრულდეს:

1. 2023 წლისთვის მწვანე სესხებმა ჩვენი საკრედიტო პორტფელის 20% უნდა შეადგინოს

2. CO_2 ჩვენს მიერ წარმოქმნილი ემისიების ნახშირბადის ნეიტრალობა

3. ჩვენი პერსონალის სოციალური და გარემოსდაცვითი კომპეტენციის მაღალი დონის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება

7 https://ec.europa.eu/clima/climate-change/causes-climate-change_en

რა მწვანე აქტივობები განახორციელა პროკრედიტ ბანკ საქართველომ 2022 წელს

ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად, ადამიანები კვლავაც ვერ ვახერხებთ სწრაფი რეაგირება მოვახდინოთ ეკოლოგიურ გამოწვევებსა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე. საქართველო, როგორც დანარჩენი მსოფლიო ამ ცვლილების შედეგებს ყოველდღიურად განიცდის და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანების ცხოვრებაზეც აისახება.

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებისთვის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის საკითხები სულ უფრო აქტუალური ხდება. სხვადასხვა ინდუსტრიებში მოღვაწე კომპანიებიც მათ წილ პასუხიმგებლობაზე უფრო მეტს საუბრობენ.

პროკრედიტ ბანკი საქართველომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და მწვანე აქტივობები მისი საქმიანობის ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად და სტანდარტად აქცია. პროკრედიტ ბანკი გარემოსადმი მეგობრული ინიციატივების მქონე ნოვატორ და გამორჩეულ ფინანსურ ინსტიტუტად გვევლინება, რომელიც ერთის მხრივ საკუთარი საქმიანობით ცდილობის მინიმუმადე შეამციროს გარემოზე ზეგავლენა და მეორეს მხრივ, გაზარდოს ცნობიერება ბიზნესისა თუ ფიზიკური პირებში და წაახალისოს, გარემოზე პოზიტიური ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებები.

ბანკი სპეციალურად მწვანე კონცეფციით შექმნილ პროდუქტებს სთავაზობს მომხმარებელს - დაფინანსება ელექტრო მანქანის შესაძენად და მზის ელექტროსადგურის გასამართად; ქვეყნის მასშტაბით ელექტრო მანქანების დამტენი სადგურების პროექტის განხორციელებაც დაიწყო, რომლის გამოყენებაც ელექტრო მანქანის მფლობელებს სრულიად უფასოდ შეუძლიათ. უახლესი უნიკალური პროდუქტი, რომელიც ბანკმა მომხმარებელს შესთავაზა მწვანე ანგარიშია, რომელსაც თან ახლავს **N1 ეკომეგობრული მასალისგან დამზადებული** ბარათი **ProGreen**, რომელიც გარემოსადმი მეგობრულ მიდგომებსა და საბანკო პროდუქტებს ერთიანი მომსახურების ქვეშ აერთიანებს.

მნიშვნელოვანია, რომ პროკრედიტ ბანკი საქართველო საზოგადოებასთან კომუნიკაციისას განსაკუთრებულ ყურადღებას ისეთ საკითხებს უთმობს, როგორიცაა პლასტმასის გამოყენებაზე უარის თქმა, ნარჩენების სეპარირების ჩვევის გამომუშავება, ჰაერის დაბინძურების შემცირება, მზის ენერიის გამოყენება და რესურსების დაზოგვა. ბანკი რეგულარულად აღნიშნავს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით დღეებს, რითაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული თემების პოპულარიზებას და საზოგადოების ინფორმირებულობას.

წელს პროკრედიტ ბანკმა მასშტაბური გარემოსდაცვითი, სოციალური კამპანია დაიწყო, რომლის მთავარი სლოგანია - „შეცვალე“. კამპანიის მიზანი გარემოსდაცვით და კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პასუხისმგებლობის გაზიარებაა. გარემოსდაცვით კამპანიის ფარგლებში ბანკმა მთავარი ვიდეო რგოლი წარადგინა, სადაც საზოგადოებას მკაფიოდ დაანახა გარემოსთვის ზიანის მიყენებით გამოწვეული საფრთხეები და ეკოლოგიური კატასტროფისგარდაუვალობა, რომლის წინაშეც შეიძლება დავდგეთ, თუკი არ შევცვლით ჩვენს ქცევას. გარემოსდაცვითი საკითხების ყურადღების ცენტრში მოქცევით, პროკრედიტ ბანკი თითოეულ ადამიანს ახსენებს, რომ მან არ უნდა დაკარგოს კავშირი ბუნებასთან და მიანიშნებს, რომ ყოველი ჩვენგანის როლი ამ პროცესში გადამწყვეტია. კამპანიის მთავარი სათქმელის ირგვლივ ბანკმა საზოგადოებისთვის ცნობილი აზრთა ლიდერებიც გააერთიანა. „შეცვალემ“ დიდი მოწონება, პოზიტიური გამოხმაურება და უამრავი დადებითი შეფასება მიიღო საზოგადოების მხრიდან.

მნიშვნელოვანია, რომ პროკრედიტ ბანკის ამგვარ ხედვასა და მიდგომებს ბანკის თითოეული თანამშომელი იზიარებს. ჩვენ გვჯერა, რომ კლიმატის ცვლილების შეჩერება და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ თითოეული ჩვენგანის, კომპანიიებისა და ინდივიდების პასუხისმგებლიანი ქმედებებითაა შესაძლებელი და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ გარემო და პლანეტა უკეთესობისკენ.